



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N07

ქ. მარნეული

28.04.2021 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: -

ამირან გიორგაძე, ბესიკ გელენიძე, ნოდარ მთვარელიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე, რიჩარდ გიგანი, ბესიკ გუჯეჯიანი, ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, ზურაბ ფანგანი, ზურაბ ჭონიაშვილი, ნადირ გულიევი, ტარიელ მამედოვი, დავით ხუციშვილი, ნიკოლოზ მუმლაძე, ლევონ აკოპიანი, ალი მურადოვი, არამ კარაპეტიანი, გეიდარ მუსაევი, არსენ ახვერდიანი, როვშან ისკანდაროვი, აივაზ ისკანდაროვი, ომარ ირიშოვი, ჯეიხუნ ჩოიდაროვი, მირკაზუმ იაგუბოვი, ადილ გურბანოვი, რაფიკ ჯაფაროვი, ივანე ხაღულაშვილი.

არ ესწრებოდა:

ილხამ გასანოვი, რამინ ალახვერდიევი, თორნიკე გოგლიძე, აშრაფ ტუვანოვი, ჰუსეინ ჰუსეინოვი, აკმამედ იმამკულიევი, აზატ კარიმოვი.

სხდომას ესწრებოდა -

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი **ზაურ ტაბატაძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ლაშა ლოშჯანიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ვუგარ მამედოვი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **დავით ხარშილაძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ნინო ბერიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **რუსუდან გადეღია**, ამავე განყოფილების სპეციალისტები: **ნათია გაფრინდაშვილი**, **ბელა თედორაძე**, **დიმიტრი აბრამიშვილი** და **როენა ახოზაძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების უფროსი **ია ესებუა**, ამავე განყოფილების სპეციალისტები: **ცოტნე ბოჭოიძე**, **მარიამ კაპანაძე** და **ხოშგადამ ნოვრუზალოვა**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე: **ელსან ჰასანოვი** და **შერმადინ ბოჭოიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი: **თემურ შუბითიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მატერიალურ - ტექნიკური და კომპიუტერული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი

კოტე ბოჭოიძე, ამავე განყოფილების სპეციალისტი ქეთევან ხვედელიძე მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტები ხელშეკრულებით: მარიამ ირიაული, თამთა ქალდანი, თამაზ ბოჭოიძე, გაბილ ხალილოვი, მამუკა გიგანი, გიორგი ჩაჩანიძე, რამაზ კარახმაზ და აგილ ამირჯანოვი, მოქალაქე დავით ქიმაძე. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სტაჟიორი მარიამ გოგრიჭიანი.

ასევე ესწრებოდნენ:

მარნეული TV-სა და რადიო მარნეულის წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის არჩევა.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიში მოსმენის შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 13 აპრილის N07-3221103108 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
6. „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
7. ქალაქ მარნეულში მცხოვრები მოქალაქე სვეტლანა სუკაშვილის განცხადების განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ რიჩარდ გიგანმა საკრებულოს წევრებს გააცნო საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის N22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის 2021 წლის 16 აპრილის N17 წერილით შემოსული საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2021 წლის 4 აპრილის N1/2021 განკარგულება და ითხოვა მხარდაჭერა, რათა ცნობად იქნეს მიღებული პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს პარტიული სიით არჩეული საკრებულოს გამოკლებული წევრის მამუკა ნავერიანის ადგილმონაცვლედ, ამავე პარტიის პარტიული სიით, რიგით მომდევნო საკრებულოს წევრობის კანდიდატის ივანე ხალულაშვილის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N29. 28.04.2021 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე წარადგინა საკრებულოს წევრი, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის რიჩარდ გიგანის კანდიდატურა, რაზეც რიჩარდ გიგანმა განაცხადა თანხმობა. საკრებულოს თავმჯდომარემ, ფარული კენჭისყრის ჩასატარებელი სამუშაოებისათვის გამოაცხადა შესვენება. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ხელახალი რეგისტრაციის შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ, ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, კომისიის წევრების თანდასწრებით გახსნა კენჭისყრისთვის გათვალისწინებული სპეციალური ყუთი. დათვლილი იქნა ხმები, რაზეც შედგა შესაბამისი ოქმი. საკრებულოს თავმჯდომარემ ამირან გიორგაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის ოქმი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც საკრებულომ ფარული კენჭისყრით, 29 ხმით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ აირჩია რიჩარდ გიგანი. (მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის 2021 წლის 28 აპრილის სხდომის N1 ოქმი და ფარული კენჭისყრის შედეგები თან ერთვის. მიღებულია განკარგულება N27. 28.04.2021 წ.)

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ამირან გიორგაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ინფრომაცია იმის შესახებ, რომ რიჩარდ გიგანის მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შემდეგ საჭიროა აირჩეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა დაესახელებინათ საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატურა. საკრებულოს წევრებმა ნიკოლოზ გოგოჭურმა, არსენ ახვერდიანმა, ბესიკ გელენიძე, გივი გიორგაძემ, ომარ ირიშოვმა, ვანო ბურნაძემ და რიჩარდ გიგანმა. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე წარმოადგინეს ზურაბ ჭონიაშვილის კანდიდატურა. კომისიის თავმჯდომარეობის დასახელებული კანდიდატის თანხმობის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ, ფარული კენჭისყრის ჩასატარებელი სამუშაოებისათვის გამოაცხადა შესვენება. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ხელახალი რეგისტრაციის შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ, ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, კომისიის წევრების თანდასწრებით გახსნა კენჭისყრისთვის გათვალისწინებული სპეციალური ყუთი. დათვლილი იქნა ხმები, რაზეც შედგა შესაბამისი ოქმი. საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის ოქმი საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც საკრებულომ ფარული კენჭისყრით, 25 ხმით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ზურაბ ჭონიაშვილი (მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის 2021 წლის 28 აპრილის სხდომის N2 ოქმი და ფარული კენჭისყრის შედეგები თან ერთვის. მიღებულია განკარგულება N28. 28.04.2021 წ.)

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ანგარიში და უპასუხა საკრებულოს წევრების შეკითხვებს. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ აღნიშნა, რომ კომისიის მიერ 2020 წლის მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შეფასებულია დადებითად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N30. 28.04.2021 წ.).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ ნოდარ მთვარელიძემ საკრებულოს წევრებს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 13 აპრილის N32-3221103133 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 13 აპრილის N07-3221103108 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მულის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე ითხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის მოვალეობის შემსრულებელს სარგებლობის უფლებით ელექტრონული აუქციონის წესით განკარგოს ქონება.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N31. 28.04.2021 წ.).

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის დაწესებული საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N32. 28.04.2021 წ.).

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბესიკ გუჯეჯიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო ქალაქ მარნეულში მცხოვრები მოქალაქეების განცხადებები, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ დახმარებას.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მეშვიდე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:
ამირან გიორგაძე